საერთაშორისო პარტნიორთა კვლევის ანგარიში

music as therapy international

გმადლობთ

ჩვენი პარტნიორები მთელს მსოფლიოში, მათ შორის თქვენც, ხართ ძალიან მნიშვნელოვანი მუსიკა, როგორც საერთაშორისო თერაპიის კონცეფციისთვის, იმისათვის, რომ მუსიკა გახდეს დაუცველ ბავშვებზე და მოზარდებზე ზრუნვის განუყოფელი ნაწილი მთელს მსოფლიოში. მუსიკას, როგორც საერთაშორისო თერაპიას, შეუძლია თქვენი უზრუნველყოფა ტრენინგებით და დახმარებით, მაგრამ ჩვენი პარტნიორები არიან სწორედ ისინი, ვინც ზრდის მუსიკის თერაპიულ უპირატესობებზე წვდომას ადგილობრივი მასშტაბებით. ამგვარად, ადგილობრივი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით, ჩვენ ყოველთვის გვინდა ვიცოდეთ რაც შეიძლება მეტი ჩვენი პარტნიორების მუშაობის შესახებ, იმ ბავშვების და/ან მოზარდების შესახებ, ვისთანაც ისინი მუშაობენ და იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს მათზე მუსიკალური სესიები. 2019/2020 წლებში ყველა ჩვენს საერთაშორისო პარტნიორს ვთხოვეთ შეევსოთ კითხვარი, მათი მუსიკასთან მუშაობის შესახებ და გაგვეგო მეტი ტრენინგების პროექტების ნამდვილი გავლენის შესახებ. დიდ მადლობას ვუხდით ყველა ჩვენს პარტნიორს, ვინც შეავსო და გამოგვიგზავნა კითხვარი!

ჩვენს კვლევაში მონაწილეობა მიიღო 72 პარტნიორმა მსოფლიოს მასშტაბით, რომლებიც 7 ქვეყნის 56 სააღმზრდელო დაწესებულებაში მუშაობენ. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ძალიან მნიშვნელოვანი და შთაგონების მომცემია ჩვენთვის. მიუხედავად იმისა, რომ ყველა საერთაშორისო პარტნიორს არ მოუწოდებია თავიანთი კითხვარები, ზოგადი ჩართულობა საკმარისი იყო ჩვენთვის, რომ მიგვეღო მოწოდებული ინფორმაცია და მონაცემები, ჩვენი პარტნიორების გამოცდილების უფრო ფართოდ შესასწავლად. იმედი გვაქვს, სიამოვნებით გაეცნობით ანგარიშს, თუ გსურთ რაიმეს გაზიარება, მზად ვართ ნებისმიერ კითხვას, გამოხმაურებას ან კომენტარს ვუპასუხოთ.

ყველა
საერთაშორისო
პარტნიორის
მიმოხილვა
music as therapy
international

ყველა საერთაშორისო პარტნიორის მიმოხილვა

მუსიკა, როგორც საერთაშორისო თერაპიას პარტნიორები ჰყავს 1998 წლიდან, ჯერჯერობით 2021 წლამდე. ამ პარტნიორებიდან ბევრია, ვინც კვლავ იყენებს მუსიკას, ჯამში, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები იყენებენ მუსიკას 7 წლის განმავლობაში.

ზოგიერთი ჩვენი პარტნიორი კვლავ იყენებს მუსიკას ან მუსიკის პრინციპებს ზრუნვის სწორედ იმ დაწესებულებებში, სადაც თავდაპირველად ჩატარდა მათი პირველი ტრენინგები, ზოგი - ზრუნვის ახალ დაწესებულებებში, სადაც ისინი განაგრძობდნენ თავიანთ მუსიკალურ პრაქტიკას ზოგი კი საკუთარ ახლად დაარსებულ ზრუნვის დაწესებულებებშიც კი.

ჩვენი პარტნიორები მთელ მსოფლიოში

მსოფლიოს მასშტაბით უკვე 56 სააღმზრდელო დაწესებულებაა, საიდანაც ჩვენმა პარტნიორებმა, გამოგვიგზავნეს დასრულებული კითხვარი.

9,868 მოწყვლად ადამიანს აქვს შესაძლებლობა წვდომა ჰქონდეს კითხვარში მონაწილეობა მიღებულ პარტნიორთა შემოთავაზებულ მუსიკალურ სესიებზე.

ქვემოთ მოცემული რუქა აჩვენებს გამოკითხულთა თანაფარდობას, რომელიც შესრულებულია ქვეყნების მიხედვით.



მოწყვლადი ადამიანები, რომლებთანაც ჩვენი პარტნიორები მუშაობენ

ქვემოთ მოცემული წრიული დიაგრამა წარმოადგენს მოწყვლადი ადამიანების ასაკობრივ ჯგუფებს, რომლებიც მონაწილეობენ ჩვენი პარტნიორების მიერ ჩატარებულ მუსიკალურ სესიებში მთელ მსოფლიოში.



ჩვენი პარტნიორების უმრავლესობა იყენებს მუსიკას მოწყვლად ბავშვებთან და / ან მოზარდებთან, რომელთაც აქვთ **კომუნიკაციის სირთულეები, ყურადღების დეფიციტი, სწავლის უნარების შეზღუდული შესაძლებლობები** და არიან **ჰიპერაქტიურები.**

მუსიკალური სესიები

ჩვენი პარტნიორების 67%, რომლებმაც გამოგვიგზავნეს შევსებული კითხვარი, რეგულარულად იყენებს მუსიკას. მთელ მსოფლიოში ჩვენი პარტნიორების 92% -მა აჩვენა კოლეგებს როგორ გამოიყენონ მუსიკა და 83% ესაუბრება კოლეგებს ან სხვა ადამიანებს მუსიკის გამოყენების შესახებ.

ვენის დიაგრამაზე მარჯვნივ ასახულია ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც მუსიკას იყენებენ პიროვნებებთან და / ან ჯგუფურად.





წრიული დიაგრამა მარცხნივ აჩვენებს, თუ რამდენად ხშირად ატარებენ მუსიკალურ სესიებს მუსიკის რეგულარულად გამომყენებელი საერთაშორისო პარტნიორები.

გაცნობითი ტრენინგის პროექტის გავლენა

გაცნობითი ტრენინგის პროექტების შემდეგ:

ჩვენი პარტნიორების 99% ეთანხმება იმას, რომ ტრენინგზე მიღებულმა ცოდნამ შეცვალა სწავლების, მუშაობის ან ზრუნვის მეთოდი.

ჩვენი პარტნიორების 92% -მა აღნიშნა, რომ შესწავლილმა მეთოდებმა შეცვალა მათი პრაქტიკა უფრო ფართო მასშტაბით, მუსიკალურ სესიებში.

ჩვენი პარტნიორების 97% ამაყობს თავიანთი მუსიკალური სესიებით.

ჩვენი პარტნიორების 94% უფრო თავდაჯერებულია.

ჩვენი პარტნიორების 90% ახლა მეტ პასუხისმგებლობას გრძნობენ.

ჩვენი პარტნიორების 92% უფრო თავგანწირულია თავისი საქმის მიმართ.

ჩვენი პარტნიორების მუსიკალური სესიების გავლენა

პარტნიორების 89% -მა აღნიშნა, რომ მოწყვლადი ადამიანები, რომლებზეც ისინი ზრუნავენ, მუსიკალური სესიებში მონაწილეობით საკმაო სარგებელს იღებენ.

ჩვენი პარტნიორების უმრავლესობამ შეამჩნია, რომ მუსიკის ყველაზე მეტი თერაპიული სარგებელი მოწყვლადი ადამიანებისთვის, არის: **სიამოვნების მიღება; მონაწილეობა; ემოციური გამოხატვა; კონცენტრაცია;** და **სტრესის შემცირება.**

მუსიკასთან, როგორც საერთაშორისო თერაპიასთან მუშაობის გამოცდილება

ჩვენი პარტნიორების 86% მთელ მსოფლიოს მასშტაბით თვლის, რომ ადვილად გაუწიეს ორგანიზება თავდაპირველ გაცნობითი ტრენინგის პროექტში მონაწილეობას.

ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების 92%-მა სიამოვნებით მიიღო მონაწილოება გაცნობით ტრენინგ პროექტში.

ჩვენი პარტნიორების 92% -მა განაცხადა, რომ მუსიკის თერაპევტი, რომელმაც ჩაატარა პროექტი, იყო თავისი საქმის პროფესიონალი და მიაწოდა სწორედ ის გამოცდილება, რომელიც პარტნიორებს სჭირდებოდათ.

ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების 89% -მა განაცხადა, რომ მუსიკა მნიშვნელოვანია, როგორც საერთაშორისო თერაპია.

ჩვენი პარტნიორების 96% -ი მთელ მსოფლიოში რეკომენდაციას უწევს მუსიკას, როგორც საერთაშორისო თერაპიას.

საქართველო

music as therapy
international

საქართველო

მუსიკა, როგორც საერთაშორისო თერაპია, საქართველოში მუშაობს 2011 წლიდან. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ზოგიერთმა პარტნიორმა დააარსა პირველი მუსიკალური თერაპიის ცენტრი საქართველოში და ჩაატარა პირველი მუსიკალური თერაპიის კონფერენცია.

გავლენა

ჩვენი ქართველი პარტნიორები, რომლებმაც გამოგვიგზავნეს შევსებული კითხვარები, მუშაობენ და იყენებენ მუსიკას 4 სხვადასხვა ზრუნვის დაწესებულებებში.

289 მოწყვლად ადამიანს აქვს შესაძლებლობა, დაესწრონ ქართველი პარტნიორების მიერ ჩატარებულ მუსიკალურ სესიებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კვლევაში.

მოწყვლადი ადამიანები, რომლებთანაც ჩვენი პარტნიორები მუშაობენ



წრიული დიაგრამა მარცხვნივ წარმოადგენს მოწყვლადი ადამიანების ასაკობრივ ჯგუფებს, რომლებიც მონაწილეობენ ქართველ პარტნიორთა მიერ ჩატარებულ მუსიკალურ სესიებში.

სვეტოვანი დიაგრამა მარჯვნივ აჩვენებს ჩვენი ქართველი პარტნიორების პროცენტულ მაჩვენებელს, რომლებიც იყენებენ მუსიკას სხვადასხვა სირთულეების მქონე მოწყვლად ადამიანების ფართო სპექტრთან.



მუსიკალური სესიები

ჩვენი ქართველი პარტნიორების 100%, რომლებმაც დაგვიბრუნეს შევსებული კითხვარი, კვლავ იყენებენ მუსიკას.

ჩვენმა ქართველმა პარტნიორებმა აღნიშნეს, რომ მუსიკალური სესიები მათი მუშაობის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია და ზრუნვის დაწესებულებების განრიგში, ჩვენი პარტნიორების 60% აწარმოებს მუსიკალურ სესიებს უფრო ხშირად ვიდრე კვირაში ერთხელ და 40% იყენებს მუსიკას კვირაში ერთხელ.

ქართველი პარტნიორების 100% -მა მიუთითა კოლეგებს თუ როგორ უნდა გამოიყენონ მუსიკა და ესაუბრნენ კოლეგებს და სხვა ადამიანებს მუსიკის გამოყენების შესახებ.

ვენის დიაგრამა მარჯვნივ აჩვენებს ჩვენი ქართველი პარტნიორების პროცენტულ მაჩვენებელს, ვინც იყენებს მუსიკას ცაკლეულ პირებთან ან ჯგუფებთან.



გაცნობითი ტრენინგის პროექტის გავლენა

ჩვენი ქართველი პარტნიორების გაცნობითი ტრენინგის პროექტის შემდეგ:

ჩვენი პარტნიორების 100% ეთანხმება იმას, რომ ტრენინგზე მიღებულმა ცოდნამ შეცვალა სწავლების, მუშაობის ან ზრუნვის მეთოდი.

ჩვენი პარტნიორების 100% -მა აღნიშნა, რომ შესწავლილმა მეთოდებმა შეცვალა მათი პრაქტიკა უფრო ფართო მასშტაბით, მუსიკალურ სესიებში.

ჩვენი პარტნიორების 100% ამაყობს თავიანთი მუსიკალური სესიებით.

ჩვენი პარტნიორების 100% უფრო თავდაჯერებულია.

ჩვენი პარტნიორების 100% ახლა მეტ პასუხისმგებლობას გრძნობენ.

ჩვენი პარტნიორების 100% უფრო თავგანწირულია თავისი საქმის მიმართ.

> “მე უდიდეს სიამაყესა და პასუხისმგებლობას ვგრძნობ სესიების ჩატარების დროს.”
>
> *(2020 წლის #198 საჯარო სკოლა)*

ჩვენი პარტნიორების მუსიკალური სესიების გავლენა

ქვემოთ მოცემული გრაფიკი გვიჩვენებს ჩვენი ქართველი პარტნიორების პროცენტულ მაჩვენებელს, რომლებიც ამბობენ, რომ მათი ზრუნვის დაწესებულებებში მყოფი მოწყვლადი ადამიანები შემდეგ სარგებელს იღებენ მუსიკალური სესიებისგან.



მუსიკა, როგორ თერაპიასთან მუშაობის გამოცდილება

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია ჩვენი ქართველი პარტნიორების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ეთანხმებიან მუსიკა, როგორც თერაპიასთან დაკავშირებული გამოცდილების მტკიცებულებებს.



მნიშვნელოვანი კვლევები

მუსიკა კვლავ წარმოადგენს ზრუნვის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელსაც ჩვენი პარტნიორები უზრუნველყოფენ მსოფლიოში. მრავალი სხვა მნიშვნელოვანი დასკვნა არსებობს ჩვენი პარტნიორების დასრულებული კითხვარებიდან, რაც უფრო განამტკიცებს ჩვენს ცოდნას ადგილობრივი პრაქტიკების გამოყენების შესახებ და ხელს შეუწყობს მომავალ გაცნობით ტრენინგის პროექტებსა და ჩვენი პარტნიორების მხარდაჭერას.

მუსიკის თერაპევტული სარგებელი: ჩვენი პარტნიორების დადებითი და მნიშვნელოვანი გამოცდილება, ის თუ რას აძლევს მუსიკა მოწყვლად ადამიანებს, რომლებზეც ზრუნავენ, თუ როგორ აძლიერებს მათ შესაძლებლობებს და რა გავლენას ახდენს იმ ადამიანებზე, რომლებსაც მთელი ცხოვრების განმავლობაში ეჯახებიან სხვადასხვა სპექტრის სირთულეებს. რამდენიმე მათგანმა მოგვიყვა იმაზე, თუ როგორ იყენებენ თავიანთვის სასიკეთოდ გაზიარებულ გამოცდილებებს და როგორი გავლენა იქონია მუსიკის გამოყენებამ მოწყვლადი ადამიანების ოჯახებთან ურთიერთობისას. მუსიკის გავლენა ყველა ქვეყანაში განსხვავებულია, ისევე როგორც, ის ჯგუფები, ვისთანაც ჩვენი პარტნიორები მუშაობენ, განსხვავებულია, მაგრამ ჩვენს გლობალურ ქსელში ასევე ბევრი რამ არის საერთო.

მდგრადი გავლენა: მუსიკის, როგორც საერთაშორისო თერაპიის მიერ ჩატარებული გაცნობითი ტრენინგის შემდეგ, ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს საშუალება აქვთ მუშაობისას განახორციელონ ახალი მუსიკალური უნარ-ჩვევები მოწყვლად ადამიანებთან მსოფლიოს მასშტაბით. მუდმივი მხარდაჭერით, მუსიკის ამ თვალსაზრისით გამოყენება შეიძლება დანერგილ იქნეს მრავალი წლის განავლობაში მოწყვლად ადამიანებზე ზრუნვისას და განათლებისას.

შესაძლებლობების გაძლიერება: ჩვენმა პარტნიორებმა გვაუწყეს, თუ როგორ დაეხმარათ მუსიკალური ტრენინგები მათ პროფესიულ განვითარებას. ადგილობრივი წინამძღოლობა ძლიერია, როცა მრავალი ქვეყნის მრავალი პარტნიორი, უზიარებს ერთმანეთს საკუთარ უნარებს და ხელს უწყობს მუსიკის თერაპიულ როლის განვითარებას ადგილობრივად.

ჩვენი პარტნიორების საჭიროებების განხილვა და მოსმენა: ჩვენ ვცდილობთ დავესწროთ პარტნიორების მიერ პროექტის შემუშავების თითოეული ეტაპს, შესაბამისად, შეგვიძლია მივუსადაგოთ ჩვენი მიდგომა საჭიროებებს და სურვილებს თითოეულ შემთხვევაში. თუმცა, პარტნიორთა კითხვარებიდან გამომდინარე, ვხდებით, რომ ეს ყოველთვის არ არის შესაძლებელი. ჩვენ უფრო მეტად უნდა ვიმუშაოთ ჩვენი პროექტების მონაწილეთა მოსაზრებების გასააზრებლად, იმისათვის, რომ ვუზრუნველყოთ ნებისმიერი პარტნიორის დახმარება, რომ უკეთ გვესმოდეს, თუ როგორ არ გავაცრუოთ პარტნიორთა იმედები.

ჩვენს მხარდაჭერაზე მორგება: ჩვენმა პარტნიორებმა მოგვცეს მკაფიო მითითებები მუსიკალური პრაქტიკის კონკრეტულ ასპექტებთან დაკავშირებით, რომლებზეც მათ სჭირდებათ შემდგომი დახმარება. ესენია:

- მუსიკალური აქტივობის რესურსების მიწოდება, განსაკუთრებით დემენციის მქონეებისთვის და ტრავმირებულთათვის.
- შესაძლებლობები ჩვენი პარტნიორებისთვის, გაუზიარონ მუსიკის გამოყენების გამოცდილებები, მუსიკა, როგორც თერაპიის გლობალური ქსელის ფარგლებში.
- ჩვენი პარტნიორების მუსიკალურ სესიების დაკვირვებაზე ხელმისაწვდომობა.
- დამატებითი ტრენინგი ჩვენი პარტნიორებისთვის, რათა გააუმჯობესონ მუსიკის გამოყენება კლიენტთა ახალ ჯგუფებთან.
- ახალ ან დამატებით მუსიკალურ ინსტრუმენტებზე ხელმისაწვდომობა რესურსების შევსებისთვის და შექმნისთვის.

ჩართულობა: Covid– ით გამოწვეული სირთულეების მიუხედავად, ჩვენ აღვფრთოვანდით პარტნიორების იმ რაოდენობით, რომლებმაც დეტალური პასუხები გამოგვიგზავნეს. მათი მზადყოფნა, გაეზიარებინათ თავიანთი ისტორიები და სწავლის გაგრძელების სურვილი, ცხადყოფს, რომ ისინი მტკიცედ და ერთგულად ემსახურებიან მუსიკას იმ დაწესებულებებში, სადაც ზრუნავენ სხვებზე. გარდა კონკრეტული მითითებებისა, თუ როგორ შეგვიძლია ჩვენი დახმარების უზრუნველყოფა და ციფრულად განვითარება გასული წლის შედეგების, საინტერესოა და ამაღელველებია იმაზე ფიქრი, თუ როგორ შეგვიძლია გავაუმჯობესოთ ჩვენი პარტნიორების მიერ მუსიკალური პრაქტიკის გამოყენება მომავალში.

Music as Therapy International
Mowll Street Business Centre
11 Mowll Street
London SW9 6BG

music as therapy international

Tel. +44 (0) 20 7735 3231
Email: info@musicastherapy.org
Skype: mastinternational